# ხელშეკრულება N 194
## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

დაბა ქედა, 25 დეკემბერი 2020 წელი

ერთის მხრივ, ქედის მუნიციპალიტეტი წარმოდგენილი მერის მ/შ როლანდი ბერიძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, შპს „მარი-ანა“, წარმოდგენილი დირექტორის ავთანდილ დუმბაძე სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ,,ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 22 დეკემბრის N 1213 ბრძანების და 2020 წლის 25 დეკემბრის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის განკარგულების (SMP200005590) საფუძველზე, ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1. შესყიდვის ობიექტია - შვრიის ფანტელი (გერკულესი)- კლასიფიკატორის (CPV) კოდი15613380; შაქარი-კლასიფიკატორის (CPV) კოდი -15883100; მაკარონი-კლასიფიკატორის (CPV) კოდი -15851106; ტომატი-კლასიფიკატორის (CPV) კოდი -15331425; სუფრის მარილი კლასიფიკატორის (CPV) კოდი-15872400; შავი შოკოლადი კანფეტი - კლასიფიკატორის (CPV) კოდი -15842100; ლიმონათი - კლასიფიკატორის (CPV) კოდი - 15982000.

1.2. საკვები პროდუქტების ჩამონათვალი, მახასიათებლები, მოცულობა და ღირებულება მოცემულია ფასების ცხრილში - დანართი N1.

1.3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 8 932 (რვაათას ცხრაასოცდათორმეტი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

### 2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და სტანდარტები

2.1. ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს დანართი N1-ით განსაზღვრულ კრიტერიუმებს;

2.2. მიმწოდებელი იძლევა ვალდებულებას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

2.3. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გარეშე.

### 3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

3.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მერის მოადგილე მამუკა ფარტენაძე.

3.3.

### 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, პირობები და ადგილი

4.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს დაბა ქედაში მ. კოსტავას ქ. #3. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს დაცლა-დასაწყობება;

4.2. პროდუქტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.3. მისაწოდებელი კვების პროდუქტები დაკომპლექტებული უნდა იყოს დანართ N1-ში მითითებული რაოდენობის/მოცულობის პაკეტად;

4.4. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანებისაგან დანიშნულების ადგილზე ტრანსპორტირების პროცესში; პროდუქტის დანიშნულების ადგილზე გადატანა უნდა განხორციელდეს პროდუქტების გადასაზიდად ვარგისი სპეციალური სატრანსპორტო საშუალებით;

4.5. მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის, ასევე ყველა სხვა ხარჯის ჩათვლით, რომელიც დაკავშირებულია შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან);

### 5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება განხორციელდება საქონლის მიწოდების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

5.3. საქონლის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი არის ქედის მუნიციპალიტეტის. მერის მოადგილე მამუკა ფარტენაძე

### 6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.

6.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად მიმწოდებლის მიერ დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში.

## 7. ფასები

7.1. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

7.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

7.3. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%- ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 9. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე მხარეს.

## 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

## 11. ფორს მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## 13. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## 14. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

## 16. სხვა პირობები

16.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილი და ხელმოწერილია ელექტრონულად (დოკუმენტზე შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და დოკუმენტი დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპით).

## 17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| *„შემსყიდველი“* | *„მიმწოდებელი“* |
|---|---|
| ქედის მუნიციპალიტეტი<br>მისამართი: დაბა ქედა, მ. კოსტავას #3<br>საიდ. კოდი 246742061<br>მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა<br>ბანკის კოდი: TRESGE22<br>ანგ. № GE24NB0330100200165022 | **შპს „მარი-ანა “**<br>**ტელ :557954744**<br>**მის: ხელვაჩაური, თხილნარი**<br>**საიდ. კოდი 448397627**<br>**საბანკო რეკვიზიტები :**<br>**ს.ს,,თიბისი ბანკი“ ,**<br>**ბანკის კოდი TBCBGE22**<br>**ანგ. N GE23TB7698936060100001** |
| მერის მ/ შ<br>როლანდი ბერიძე | **დირექტორი**<br>**ავთანდილ დუმბაძე** |

Avtandil Dumbadze

Digitally signed by Avtandil Dumbadze
Date: 2020.12.25 17:11:43 +04'00'

ფასების ცხრილი

| N | დასახელება | ტექნიკური მახასიათებლები | განზომილების ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი | შეკვრის რაოდენობა | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შვრიის ფანტელი (გერკულესი) | • საქონელს არ უნდა აღენიშნებოდეს ობი, ნესტი, არ უნდა შეიცავდეს უცხო მინარევებს და ორგანიზმისთვის საშიშ ქიმიურ მინარევებს. მავნებლების მიერ მიყენებული დაზიანების გარეშე.<br>• შესაბამისი მარკირებით, მითითებული შენახვის ვადები და პირობები.<br>• დაფასოებული, მექანიკური დაზიანების გარეშე.<br>• მიწოდებული საქონლის დარჩენილი ვარგისიანობის ვადა  არანაკლებ 4 თვე. | კგ | 1 | 2,5 | 440 | 1,100 |
| 2 | შაქარი | შაქარი (რაფინადი)<br>• მაღალი ხარისხის, რაფინადი;<br>• თეთრი ან მოყვითალო ფერის;<br>• სუფთა, უცხო მინარევების და უცხო გემოს გარეშე;<br>• სინესტის გარეშე.<br>• დაფასოებული, მექანიკური დაზიანების გარეშე.<br>• შაქარი გამოშვებული არ უნდა იყოს მიწოდებამდე ერთ წელზე გვიან. | კგ | 2 | 2 | 440 | 1.760 |
| 3 | მაკარონი | • დამზადებული უმაღლესი ხარისხის ხორბლის ფქვილისგან;<br>• უნდა იყოს სუფთა, მინარევებისა და უცხო სხეულების გარეშე;<br>• მშრალი, ობის და სინესტის/სისველის გარეშე, ჰერმეტულ შეფუთვაში არ უნდა შეინიშნებოდეს წყლის წვეთები;<br>• დაფასოებული, მექანიკური დაზიანების გარეშე.<br>• მიწოდებული საქონლის დარჩენილი ვარგისიანობის ვადა  არანაკლებ 4 თვე. | კგ | 2 | 2 | 440 | 1,760 |
| 4 | ტომატი | უმაღლესი ხარისხის, 400გრ.-იან (±100გრ.)თუნუქის ან მინის ქილებში,<br>• მიწოდებული საქონლის დარჩენილი ვარგისიანობის ვადა  არანაკლებ 4 თვე. | ცალი | 1 | 2,5 | 440 | 1,100 |
| 5 | სუფრის მარილი | • უნდა იყოს კრისტალისებური, ფხვიერი, სუფთა, უცხო მინარევების და უცხო გემოს გარეშე. სინესტის გარეშე. წმინდად დაფქული, თეთრი (დამახასიათებელი) შეფერილობის.<br>• დაფასოება წონით 1კგ  (±150გრ.) პაკეტებში. | ცალი | 1 | 0,5 | 440 | 220 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | • მიწოდებული საქონლის დარჩენილი ვარგისიანობის ვადა  არანაკლებ 4 თვე. | | | | | |
| 6 | შავი შოკოლადი (კანფეტი) | • მაღალი ხარისხის, მშრალი. ნესტისა და ობის სუნის გარეშე.<br>•დაფასოვებული 1 კგ. პაკეტით. შეფუთული ქარხნული წესით, პაკეტში თითოეული შოკოლადი შეფუთული ქარხნული წესით.<br>• მიწოდებული საქონლის დარჩენილი ვარგისიანობის ვადა  არანაკლებ 4 თვე. | კგ | 1 | 5.7 | 440 | 2,508 |
| 7 | ლიმონათი | • უალკოჰოლო, გაზირებული სასმელი "მსხალის" გემოთი ან/და არომატით.<br>• დამახასიათებელი სუნით, ფერით და გემოთი;<br>• არ უნდა შეიცავდეს საქართველოში აკრძალულ საკვებდანამატებს;<br>• უნდა შეიცავდეს მჟავიანობის რეგულატორს ფოსფორმჟავას, ლიმონმჟავას ან/და სხვა, წყალს, შაქარს, ნახშირორჟანგს, ნატურალურ არომატიზატორებს და სხვა საკვებ დანამატებს.<br>• შენახვის ვადა მიწოდებიდან არანაკლებ 4 თვე.<br>• მიწოდებული პროდუქტი უნდა იყოს სავაჭრო ქსელში განთავსებული პროდუქტის ანალოგიური.<br>• დაფასოებული უნდა იყოს 1-2 ლიტრიან პლასმამის ბოთლებში. | ლიტრი | 2 | 0,55 | 440 | 484 |
| | ჯამი | | | | | | |

*„შემსყიდველი“*

**ქედის მუნიციპალიტეტი**

**მერის მ/შ**
**როლანდი ბერიძე**
**----------**

*„მიმწოდებელი“*

**შპს „მარი -ანა “**
**საიდენტიფიკაციო კოდი - 448397627**

**ავთანდილ დუმბაძე**
**დირექტორი**

**----------**

Avtandil Dumbadze

Digitally signed by Avtandil Dumbadze
Date: 2020.12.25 17:12:16 +04'00'